

გახტანგ გურული

რუსეთ-ოსმალეთის დაპირისპირება სამხრეთ კავკასიაში (1774 - 1879 წწ.)

რუსეთ-ოსმალეთის დაპირისპირება კავკასიაში და კერძოდ სამხრეთ კავკასიაში XVIII საუკუნის დამდეგიდან დაიწყო. ამ დაპირისპირებას რამდენიმე ომი მოჰყვა. ეს ომები მიმდინარეობდა: 1768-1774, 1787-1791, 1806-1812, 1828-1829, 1853-1856, 1877-1878 წლებში. ყველა ამ ომში, გარდა ყირიმის ომისა (1853-1856 წწ.), რუსეთმა შესძლო ოსმალეთის დამარცხება და მოპოვებული გამარჯვება განიმტკიცა ქუჩუკ-კაინარჯის (1774 წ.), იასის (1791 წ.), ბუქარესტის (1812 წ.), ადრიანოპოლის (1829 წ.), სან-სტეფანოს (1878 წ.) ზავებით. ყირიმის ომში დამარცხებისა და არახელსაყრელი პარიზის ზავის (1856 წ.) მიუხედავად რუსეთს სამხრეთ კავკასიაში პოზიციები არ დაუკარგავს. რუსეთ-ოსმალეთის ხანგრძლივ დაპირისპირების შედეგები სამხრეთ კავკასიაში გარკვეულწილად შეაჯამა სან-სტეფანოს საზავო ხელშეკრულებამ და ბერლინის კონგრესმა (1878 წ.). რუსეთ-ოსმალეთის ახალი დაპირისპირება სამხრეთ კავკასიაში უკვე პირველი მსოფლიო ომის ხანას (1914-1918 წწ.) განეკუთვნება.

1. რუსეთ-ოსმალეთის 1774 წლის 10 ივლისის საზავო ხელშეკრულება (ქუჩუკ-კაინარჯის ტრაქტატი)

აზოვისპირეთისა და ჩრდილოეთ შავი ზღვისპირეთის დაპყრობა რუსეთის იმპერიის საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთ უმთავრეს მიმართულებად რჩებოდა. 1768 წელს რუსეთსა და ოსმალეთს შორის მორიგი ომი დაიწყო, რომელიც 1774 წლამდე გაგრძელდა. 1769 წელს აქტიური საბრძოლო მოქმედებები დაიწყო **მოლდოვისა და ვალახეთის ტერიტორიაზე**, ასევე **აზოვის ზღვის სანაპირო რაიონებში**. 1770 წელს რუსეთის არმიამ მდინარე **ლარგასთან** და მდინარე **კაგულთან** (მდინარე პრუტის შენაკადები) დაამარცხა ოსმალეთის არმია და მდინარე **დუნაის** მიაღწა. 1770 წელსვე რუსეთის სამხედრო ფლოტმა ხმელთაშუა ზღვაში, **ჩესმენის ყურეში**

(მცირე აზიის სანაპირო), გაანადგურა ოსმალეთის სამხედრო ესკადრა. 1771 წელს რუსებმა **ყირიმის სახანოს** ტერიტორია დაიკავეს.

ოსმალეთთან ომში რუსეთის საიმპერატორო კარმა ქრისტიანი ხალხების გამოყენება გადაწყვიტა. 1769 წელს **იმერეთისა** და **ქართლ-კახეთის** სამეფოებმა **რუსეთთან** სამხედრო-პოლიტიკური კავშირი შეკრეს. 1769 წელს რუსეთის არმიის საექსპედიციო კორპუსი გენერალ **გოტლიბ-კურტ-ჰენრიხ ტოტლებენის** მეთაურობით საქართველოში შემოვიდა. 1770 წლის აპრილში ქართლ-კახეთისა და რუსეთის გაერთიანებული სამხედრო ძალა ოსმალეთის წინააღმდეგ საბრძოლველად დაიძრა. ქართველებსა და რუსებს მტკვრის ხეობით **ახალციხის** მიმართულებით უნდა შეეციათ. 1770 წლის აპრილში გენერალმა გ. ტოტლებენმა **აწყურის** ციხის ალყის დროს **ერეკლე II** მოღალატურად მიატოვა და უკან გამობრუნდა. მართალია, 1770 წლის 20 აპრილს **ასპინძასთან** გამართულ ბრძოლაში ქართლ-კახეთის ლაშქარმა ერეკლე II-ის სარდლობით ოსმალთა და ლეკთა გაერთიანებული ლაშქარი სასტიკად დაამარცხა, მაგრამ ქართველთა და რუსთა ლაშქრობა ოსმალეთის წინააღმდეგ ჩაიშალა. აწყურის ციხესთან ბრძოლის მიტოვების შემდეგ გენერალი გ. ტოტლებენი თავისი რაზმით იმერეთის სამეფოში გადავიდა. **გენერალ გ. ტოტლებენის დალატი რუსეთის საიმპერატორო კარის შორსგამიზნული გეგმის ერთი დეტალი იყო.**

სოლომონ I-მა ისარგებლა იმით, რომ ერეკლე II-მ ასპინძის ბრძოლაში ახალციხის ფაშის ძირითადი ძალები გაანადგურა და ოსმალებს შეუტია. 1770 წელს იმერეთის მეფემ ოსმალებს **ცუცხვათისა** და **შორაპნის** ციხეები დაატოვებინა. ამის შემდეგ სოლომონ I-მა **ქუთაისის** ციხეში გამაგრებულ ოსმალებს შეუტია, თუმცა ციხის აღება ერთბაშად ვერ მოახერხა. 1770 წლის 2 ივლისს სოლომონ II-მ და გენერალმა გ. ტოტლებენმა **ბაღდადის** ციხეს შემოარტყეს ალყა, მალე ოსმალთა გარნიზონი დანებდა. 6 აგვისტოს ღამით, გ. ტოტლებენის აშკარა თანადგომით, ოსმალთა გარნიზონი შეუმჩნეველად გაიპარა **ქუთაისის** ციხიდან. 1770 წლის 3 ოქტომბერს გ. ტოტლებენმა ფოთის ციხეს შემოარტყა ალყა, მაგრამ ვერ აიღო. გ. ტოტლებენს მალე იმერეთის მეფესთანაც გაუფუჭდა ურთიერთობა. 1771 წლის მაისში იმერეთში რუსთა საექსპედიციო კორპუსის ახალი მეთაური გენერალი **ა. სუხოტინი** ჩავიდა. ფოთი ვერც ა. სუხოტინმა აიღო და 1771 წლის

ოქტომბერში ციხე-სიმაგრეს ალყა მოხსნა. 1772 წლის ივნისში რუსეთის საექსპედიციო კორპუსმა საქართველოს საზღვრები დატოვა.

1774 წელს რუსეთ-ოსმალეთის ომი დასრულდა. ომის დასასრულისათვის ოსმალები განდევნილნი იყვნენ იმერეთის შემდეგი ციხეებიდან: **ქუთაისიდან, ცუცხვათიდან, შორაპნიდან და ბაღდადიდან.**

რუსეთ-ოსმალეთის 1768-1774 წლების ომი დამთავრდა საზავო ხელშეკრულებით (ტრაქტატით), რომელიც ხელმოწერილ იქნა 1774 წლის 10 ივლისს სოფელ **ქუჩუკ-კაინარჯში** (მდ. დუნაის მარჯვენა სანაპირო).

რუსეთ-ოსმალეთის 1774 წლის 10 ივლისის ქუჩუკ-კაინარჯის საზავო ხელშეკრულების (ტრაქტატის) ძალით რუსეთმა მიიღო შავ ზღვაზე გასასვლელი – შავი ზღვისპირეთის სტეპის ზონა (ნოვოროსია). **ქუჩუკ-კაინარჯის საზავო ხელშეკრულების ოცდამესამე მუხლი ეხებოდა საქართველოს, კერძოდ, დასავლეთ საქართველოს.** საზავო ხელშეკრულების ოცდამესამე მუხლი ძალზე მნიშვნელოვანია, ამიტომ მას მოლიანად მოვიტანთ:

„საქართველოსა და სამეგრელოში მდებარე ციხეები: ბაღდადი, ქუთაისი და შორაპანი, რომლებიც რუსეთის იარაღით არიან მოპოვებულნი, რუსეთისაგან იმათ კუთვნილად იქნება აღიარებული, ვისაც ისინი ძველთაგანვე ეკუთვნოდნენ; თუ ეს ქალაქები ნამდვილად ძველთაგანვე, ან დიდი ხანია, ბრწყინვალე პორტას ექვემდებარებოდნენ, მის საკუთრებად იქნებიან ცნობილნი; ამ ტრაქტატის გაცვლის შემდეგ, დათქმულ დროს, რუსეთის ჯარები გამოვლენ დასახელებული პროვინციებიდან – საქართველოდან, სამეგრელოდან. ბრწყინვალე პორტა, თავის მხრივ, ტრაქტატის პირველი არტიკულის შესაბამისად ვალდებულებას იღებს ყველა იმათი სრული ამნისტია გამოაცხადოს, რომლებმაც მას ომის მიმდინარეობის დროს ამ მხარეში რაიმე შეურაცხყოფა მიაყენეს. ბრწყინვალე პორტა საზეიმოდ და სამუდამოდ ამბობს უარს ხარკად ჭაბუკებისა და ქალიშვილების მოთხოვნასა და ყოველგვარ სხვა გადასახადზე; პორტა ვალდებულებას კისრულობს არც ერთი მათგანი არ ჩათვალოს თავის ქვეშევრდომად, იმათ გარდა, რომლებიც მას ძველთაგანვე ეკუთვნოდნენ: ქართველებისა და მეგრელების მფლობელობაში მყოფ ყველა ციხეს და გამაგრებულ ადგილებს დატოვებს მათ გამგებლობასა და დაცვაში; ასევე არავითარი სახით არ შეავიწროვებს ქართველთა სარწმუნოებას, მონასტრებსა და

ეკლესიებს, არ შეუშლის ხელს ძველი ეკლესია-მონასტრების შეკეთებას და ახალთა აგებას, ჩილდირის ვალმა და სხვა გამგებლებმა თუ ოფიცრებმა არ შეავიწროვონ ისინი ისეთი მოთხოვნებით, რომლებსაც შეიძლება მოჰყვეს მათი მამულების დაკარგვა. მაგრამ რადგანაც დასახელებული ხალხები ბრწყინვალე პორტას ქვეშევრდომები არიან, ამიტომ რუსეთის იმპერია შემდეგში მათ საქმეებში სრულიად არ უნდა ჩაერიოს და არც შეავიწროვოს ისინი.

ამრიგად, ქუჩუკ-კაინარჯის საზავო ხელშეკრულება (ტრაქტატი) იყო რუსეთის მიერ დადებული პირველი საერთაშორისო ხელშეკრულება, რომელიც საქართველოს ინტერესებს იცავდა.

დანართი

**რუსეთ-თურქეთის 1774 წლის 10 ივლისის ქუჩუკ-კაინარჯის
საზავო ხელშეკრულების ოცდამესამე მუხლი**

Art. 23. В части Грузии и Мингрелии находящиеся крепости Богдадчик, Кутаис и Шегербань, российским оружием завоеванные, будут Россией признаны принадлежащими тем, кому они издревле принадлежали, так, что ежели подлинно оные города издревле, или с давнего времени были под владением Блистательной порты, то будут признаны ей принадлежащими: а по размене настоящего трактата в условленное время, российские войска выдут из помянутых провинций Грузии и Мингрелии. Блистательная же Порта со своей стороны обязывается, в сходственность с содержанием первого артикула, дозволить совершенную амнистию всем тем, которые в том краю, в течение настоящей войны, каким ни есть образом ее оскорбили. Торжественно и навсегда отказывается она требовать дани отроками и отроковицами и всякого рода других податей, обязывается не почитать между ими никого за своих подданных кроме тех, кои издревле ей принадлежали, все замки и укрепленные места, бывшие у грузинцев и мингрельцев во владении, оставить паки под собственной их стражей и правлением, так как и не притестять никоим образом веру, монастыри и церкви, и не препятствовать поправлению старых, созиданию новых, и да не будут притесняемы какими-либо требованиями от губернатора чилдирского и от прочих начальников и офицеров в лишении их имений. Но как помянутые народы находятся

подданными Блистательной Порты, по Российской империя не имеет со всем впредь в оные вмешиваться, ниже притеснять их (Т. Юзефович. Договоры России с Востоком. Москва, 2005, стр. 56-57; Е.И. Дружинина. Кючук-Кайнарджийский мир 1774 года (Его подготовка и заключение). Москва, 1955, стр. 356).

2. რუსეთ-ოსმალეთის 1791 წლის 29 დეკემბრის საზავო ხელშეკრულება (იასის ტრაქტატი)

რუსეთის ბრძოლა ჩრდილოეთ შავი ზღვისპირეთსა და აზოვისპირეთში გაბატონებისათვის 1783 წელს მნიშვნელოვანი გამარჯვებით დასრულდა ყირიმის სახანო რუსეთის შემადგენლობაში გადავიდა. ოსმალეთი ვერ ეგუებოდა ყირიმის სახანოს დაკარგვას. 1787 წელს ოსმალეთმა რუსეთს ყირიმის სახანოს დაბრუნება მოსთხოვა, რაზეც რუსეთმა უარი განაცხადა. ომი გარდაუვალი გახდა. 1787 წელს დაიწყო რუსეთ-ოსმალეთის მორიგი ომი, რომელიც 1791 წლამდე გაგრძელდა. 1787 წელს კინბურნთან (ოჩაკოვის მახლობლად) რუსეთის არმიამ ოსმალები სასტიკად დაამარცხა. 1788 წელს რუსებმა ოჩაკოვის ძლიერი ციხე-სიმაგრე დაიკავეს. 1789 წელს ფოქშასთან (მდინარე რიმნიკზე) ოსმალები კიდევ უფრო სასტიკად დაამარცხდნენ. 1790 წელს რუსეთის არმიამ აიღო მდინარე დუნაის შესართავში მდებარე იზმაილის ციხე-სიმაგრე. რუსეთის სამხედრო ფლოტმა შავ ზღვაზე რამდენჯერმე დაამარცხა ოსმალეთის ფლოტი. დაამარცხებული ოსმალეთი ზავზე დათანხმდა.

1791 წლის 29 დეკემბერს იასში რუსეთსა და ოსმალეთს შორის დაიდო საზავო ხელშეკრულება (ტრაქტატი). რუსეთ-ოსმალეთის 1791 წლის 29 დეკემბრის იასის საზავო ხელშეკრულებამ (ტრაქტატმა) დაადასტურა რუსეთ-ოსმალეთის 1774 წლის 10 ივლისის ქუჩუკ-კაინარჯის საზავო ხელშეკრულების (ტრაქტატის) ყველა მუხლი. საზავო ხელშეკრულების ძალით ყირიმის ნახევარკუნძული რუსეთის ტერიტორიად გამოცხადდა. რუსეთს გადაეცა შავი ზღვის სანაპირო მდინარეებს დნესტრსა და სამხრეთ ბუგს შორის (Юзефович 2005: 63-64).

იასის საზავო ხელშეკრულება საქართველოსაც შეეხო. ოსმალეთმა ცნო 1783 წლის გეორგიევსკის ტრაქტატი ანუ ქართლ-კახეთის სამეფოს შესვლა

რუსეთის მფარველობაში. საზავო ხელშეკრულების მეხუთე მუხლის ძალით ოსმალეთის სულთანი ვაღდებულებას იღებდა, რომ ახალციხის ფაშა თავს აღარ დაესხმოდა ქართლ-კახეთის მეფის (საზავო ხელშეკრულების ტექსტში: царем Карталинских – ვ.გ.) სამფლობელოებს (Юзефович 2005: 65). დასავლეთ საქართველოს (იმერეთის სამეფოს, სამეგრელოს, გურიისა და აფხაზეთის სამთავროების) მიმართ ძალაში დარჩა 1774 წლის 10 ივლისის ქუჩუკ-კაინარჯის საზავო ხელშეკრულების (ტრაქტატის) პირობები.

დანართი

**რუსეთ-ოსმალეთის 1791 წლის 29 დეკემბრის იასის
საზავო ხელშეკრულების მეხუთე მუხლი**

Ст. V. В доказательство между обеими Договаривающимися Империями искренности и дружбы, которые, не довольствуясь единым ныне восстановлением мира и доброго согласия между ими, ищут и на будущие времена утвердить оный прочным образом, отвращая со всевозможным радением все причины, могущие подать повод к спорам и отсуде, Блистательная Порта обещает подтвердить вновь издаваемым фирманом данный прежде, чтоб ахалцихский губернатор, пограничные начальники и прочие отныне впредь ни тайно, ни явно, ни под каким видом не оскорбляли и не беспокоили земель и жителей владеемых царем Карталинским, о чем и отправить к помянутому ахалцихскому губернатору, к пограничным начальникам и к прочим со строжайшим прешением и подтверждением указы (Юзефович 2005: 65).

**3. რუსეთ-ოსმალეთის 1812 წლის 16 მაისის
საზავო ხელშეკრულება (ბუქარესტის ტრაქტატი)**

XVIII საუკუნეში რუსეთთან ომებში დამარცხების მიუხედავად ოსმალეთი რევანშისათვის ემზადებოდა. XIX საუკუნის დამდეგს რუსეთსა და საფრანგეთს შორის ოსმალეთის ლავირება დამთავრდა იმით, რომ აუსტერლიცის ბრძოლაში (1805 წ.) რუსეთის მარცხის შემდეგ ოსმალეთი საფრანგეთს მიემხრო და რუსეთთან

ურთიერთობას ხელოვნურად ძაბავდა. ოსმალეთმა რუსეთის გემებისათვის **ბოსფორისა და დარდანელის** სრუტეები დახურა. ამავე დროს სულთანმა უგულებელყო რუსეთთან დადებული საზავო ხელშეკრულებებით **მოლდოვას, ვალახეთისა და სერბეთის** მიმართ ნაკისრი ვალდებულებები.

1806 წელს დაიწყო რუსეთ-ოსმალეთის ომი, რომელიც 1812 წლამდე გაგრძელდა. ოსმალეთი მიზნად ისახავდა ყირიმის ნახევარკუნძულისა და ჩრდილოეთ შავი ზღვისპირეთის დაბრუნებას, ასევე მოლდოვაზე, ვალახეთსა და სერბეთზე სრული ბატონობის დამყარებას.

1806-1810 წლებში რუსეთმა დუნაისპირეთსა და ბალკანეთზე ვერ შეძლო ფართომასშტაბიანი საბრძოლო ოპერაციების წარმოება. 1810 წელს რუსეთის არმიამ გადალახა მდინარე **დუნაი** და მიაღწია **ბალკანეთის უღელტეხილებს**. რუსებმა მიღწეულის შენარჩუნება ვერ შეძლეს, ჩრდილოეთ ბულგარეთი დატოვეს და საწყის პოზიციებზე დაიხიეს. 1811 წელს რუსეთის არმია შეტევაზე გადავიდა და რამდენიმე ბრძოლაში ოსმალეთის არმია სასტიკად დაამარცხა.

რუსეთის არმიამ წარმატებები მოიპოვა კავკასიის ფრონტზეც. 1810 წელს რუსებმა აიღეს **ფოთი** და **სოხუმი**, 1811 წელს – ახალქალაქი.

1812 წლის 16 მაისს **ბუქარესტში** რუსეთსა და ოსმალეთს შორის დაიდო საზავო ხელშეკრულება (ტრაქტატი). ბუქარესტის საზავო ხელშეკრულების (ტრაქტატის) მესამე მუხლში აღნიშნული იყო, რომ უცვლელად რჩებოდა რუსეთსა და ოსმალეთს შორის ადრე დადებული ყველა ხელშეკრულება (**Юзефович** 2005: 71) ბუქარესტის საზავო ხელშეკრულებით რუსეთმა მიიღო ბესარაბია (**Юзефович** 2005: 71-72).

რუსეთ-ოსმალეთის 1812 წლის 16 მაისის ბუქარესტის საზავო ხელშეკრულება შეეხო საქართველოს. ოსმალეთმა **სცნო ქართლ-კახეთის სამეფოს, იმერეთის სამეფოს, გურიის, სამეგრელოსა და აფხაზეთის სამთავროების** გადასვლა რუსეთის მფლობელობაში. საზავო ხელშეკრულების მეექვსე მუხლში აღნიშნული იყო, რომ რუსეთ-ოსმალეთის საზღვარი აზიაში უნდა აღდგენილიყო ომამდელი სახით. რუსეთს ოსმალეთისათვის უნდა დაებრუნებინა აზიაში (სამხრეთ კავკასიაში) დაკავებული **ციხე-სიმაგრეები, ქალაქები, დაბები და სოფლები** (**Юзефович** 2005: 72-73).

რუსეთმა ოსმალეთს დაუბრუნა ფოთი და ახალქალაქი, მაგრამ შეძლო სოხუმის შენარჩუნება. სოხუმი რუსეთს დარჩა იმის გამო, რომ 1810 წელს აფხაზეთის მთავარი რუსეთის იმპერიის ქვეშევრდომობაში შევიდა. დამარცხებულმა ოსმალეთმა თავი ვეღარ გამოიღო აფხაზეთის შენარჩუნების მიზნით. საბოლოოდ რუსეთს დარჩა შავი ზღვის სანაპირო სოხუმიდან რედუტ-კალემდე (მდ. ხობის შესართავამდე).

დანართი

რუსეთ-ოსმალეთის 1812 წლის 16 მაისის ბუქარესტის საზავო ხელშეკრულების მეექვსე მუხლი

Ст. VI. Кроме границы реки Прута, границы со стороны Азии и других мест восстанавливаются совершенно так, как оные были прежде до войны, и как постановлено с третьей статье предварительных пунктов. Вследствие чего Российский Императорский двор отдает и возвращает Блистательной Порте Оттоманской, в таком состоянии, в каком теперь находятся крепости и замки, внутри сей границы лежащие и оружием его завоеванные, купно с городами, местечками, селениями, жилищами и со всем тем, что сия земля в себе содержит (Юзефович 2005: 72-73).

4. რუსეთ-ოსმალეთის 1829 წლის 2 სექტემბრის საზავო ხელშეკრულება (ადრიანოპოლის ტრაქტატი)

რუსეთისა და ოსმალეთის დაპირისპირებამ ბალკანეთის ნახევარკუნძულზე და რუსეთის იმპერიის სწრაფვამ, დასავლეთ ევროპის ქვეყნებთან შედარებით უპირატესი გავლენა მოეპოვებინა ოსმალეთზე, რუსეთ-ოსმალეთის ახალი ომი გამოიწვია. ომი 1828 წელს დაიწყო და 1829 წლამდე გაგრძელდა. რუსეთ-ოსმალეთის ომი თავიდანვე ორ ფრონტზე – ბალკანეთსა და სამხრეთ კავკასიაში – დაიწყო.

1828 წელს რუსეთის არმიამ გადალახა მდინარე პრუტი და მოლდოვას სამთავროს ტერიტორიაზე შევიდა. რუსებმა დაიკავეს იასი და ბუქარესტი. 1829

წელს რუსეთის არმიამ აიღო ძლიერი ციხე-სიმაგრეები – შულმა და სილისტრია. 1829 წელს რუსებმა გადალახეს ბალკანეთის მთები და უბრძოლველად შევიდნენ ადრიანოპოლში. წარმატება მოიპოვეს რუსებმა ჩრდილო-დასავლეთ შავი ზღვისპირეთსა და კავკასიაში. 1828 წელს რუსეთის არმიამ დაიკავა ანაპა (ჩრდილო-დასავლეთ შავი ზღვისპირეთი), ყარსი, ახალციხე და ბაიაზეთი.

1829 წლის 2 სექტემბერს ადრიანოპოლში რუსეთსა და ოსმალეთს შორის დაიდო საზავო ხელშეკრულება (ტრაქტატი). ადრიანოპოლის საზავო ხელშეკრულების ძალით რუსეთმა მიიღო მდინარე დუნაის დელტა (შესართავი). საზღვარი რუსეთსა და ოსმალეთს შორის ევროპაში კვლავ მდინარე პრუტზე უნდა დარჩენილიყო (Юзефович 2005: 90-91).

რუსეთ-ოსმალეთის 1829 წლის 2 სექტემბრის ადრიანოპოლის საზავო ხელშეკრულების მეოთხე მუხლის ძალით ოსმალეთმა აღიარა რუსეთის ხელში საქართველოს (იგულისხმებოდა ქართლ-კახეთი – მ. ვ., დ. გ.), იმერეთის, სამეგრელოსა და გურიის გადასვლა. ოსმალეთმა ასევე აღიარა გულისთანის საზავო ხელშეკრულებით ირანის მიერ სამხრეთ კავკასიაში რუსეთისათვის ტერიტორიების დათმობა, ე. ი. ჭარ-ბელაქანის (საინგილოს) გადასვლა რუსეთის შემადგენლობაში. იმავე მეოთხე მუხლის ძალით რუსეთ-ოსმალეთის საზღვარი აზიაში უნდა გასულიყო შავი ზღვის სანაპიროდან გურიასა და აჭარას შორის (მდ. ჩოლოქზე – მ. ვ., ვ. გ.). შემდეგ სასაზღვრო ხაზი მიუყვებოდა იმერეთის სამხრეთ საზღვრებს, ახალციხისა და ყარსის საფაშოების საზღვრებს, ისე რომ ახალციხე და ახალქალაქი რუსეთის საზღვრებში რჩებოდა (ახალციხიდან და ახალქალაქიდან ოსმალეთის საზღვარი დაშორებული უნდა ყოფილიყო არა ნაკლებ ორი საათის სავალისა). რუსეთ-ოსმალეთის ახალ სასაზღვრო ხაზის სამხრეთით მდებარე ტერიტორიები – ყარსისა და ტრაპეზუნდის საფაშოების და ახალციხის საფაშოს ტერიტორიის უმეტესი ნაწილი – რჩებოდა ოსმალეთის შემადგენლობაში. ტერიტორიები რუსეთ-ოსმალეთის ახალი სასაზღვრო ხაზის ჩრდილოეთით – საქართველო (იგულისხმებოდა ქართლი და კახეთი – ვ. გ.), იმერეთი, და გურია, ასევე შავი ზღვის სანაპირო – წმინდა ნიკოლოზის სიმაგრეიდან (შეკვეთილიდან) მდინარე ყუბანის შესართავამდე – გადადიოდა რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში. რუსეთის ჯარს უნდა დაეტოვებინა ომის დროს დაკავებული

ახალციხის საფაშოს სამხრეთი ნაწილი, ყარსი და ყარსის საფაშო, ბაიაზეთი და ბაიაზეთის საფაშო, არზრუმი და არზრუმის საფაშო (Юзефович 2005: 91-92).

დანართი

რუსეთ-ოსმალეთის 1829 წლის 2 სექტემბრის საზავო ხელშეკრულების მეოთხე მუხლი

Ст. IV. Грузия, Имеретия, Мингрелия, Турция и многие другие области Закавказские с давних уже лет присоединены на вечные времена к Российской империи: сей державе уступлены также трактатом, заключенным с Персией в туркменчае 10 февраля 1828 года, ханства Эриванское и Нахичеванское. А потому обе Высокие Договаривающиеся Стороны признали необходимым учредить между обоюдными владениями, по всей помянутой черте, границу определительную и способную отвратить всякое недоразумение на будущее время. Равным образом приняли оне в соображение средства, могущие положить неодолимую преграду набегам и грабёжам сопредельных племен, доселе столь часто нарушавших связи дружбы и доброго соседства между обеими империями. Вследствие сего положено признавать отныне границей между владениями в Азии Императорского Российского двора и Блистательной Порты Оттоманской черту, которая, следуя по нынешнему рубежу Гурии от Черного моря, восходит до границы Имеретии, и оттуда в прямейшем направлении до точки, где граница Ахалцыхского и Карского пашалыков соединяется с грузинской, таким образом, чтобы город Ахалцых и крепость Ахалкалаки остались на севере от помянутой черты, и в расстоянии не ближе двух часов пути от оной.

Все земли, лежащие на юге и на западе от вышесказанной граничной черты к стороне Карского и Трапезундского пашалыков с большей частью Ахалцыхского пашалыка, останутся в вечном владении Блистательной Порты; земли же, лежащие на севере и на востоке от оной черты к стороне Грузии, Имеретии и Гурии, а равно и весь берег Черного моря от устья Кубани до пристани Св. Николая включительно, пребудет в вечном владении Российской империи.

Вследствие того, Императорский Российский двор отдает и возвращает Блистательной Порте остальную часть пашалыка Ахалцыхского, город Карс с его пашалыком, город Баязид с его пашалыком, город Арзурем с его напашыком, а также и все места, занятые российскими войсками и находящиеся вне вышепоказанной черты (Юзефович 2005: 90-91).

5. რუსეთ-საფრანგეთ-ინგლის-ოსმალეთ-სარდინიის 1856 წლის 18 (30) მარტის საზავო ხელშეკრულება (პარიზის ტრაქტატი)

XIX საუკუნის შუა ხანებისათვის რუსეთის იმპერიისა და დასავლეთ ევროპის ქვეყნების (ინგლისის, საფრანგეთის, ავსტრიის) ბრძოლამ დასუსტებული ოსმალეთის ევროპული და აზიური სამფლობელოების გადანაწილებისა და ბოსფორ-დარდანელის სრუტეებზე კონტროლის დამყარებისათვის უაღრესად მწვავე ხასიათი მიიღო. გამწვავდა საკუთრივ რუსეთ-ოსმალეთის ურთიერთობა. 1853 წელს რუსეთსა და ოსმალეთს შორის ომი დაიწყო. ეს ომი ისტორიაში **ყირიმის ომის** (1853-1856 წწ.) სახელწოდებითაა ცნობილი. 1854 წელს უკვე პრაქტიკულად დამარცხებული ოსმალეთის მხარეზე ომში **საფრანგეთი, ინგლისი და სარდინიის სამეფო** ჩაებნენ. ომი სამ ფრონტზე – **ბალკანეთში, ყირიმის ნახევარკუნძულსა და სამხრეთ კავკასიაში** მიმდინარეობდა. რუსეთის არმია დამარცხდა ბალკანეთზე და ყირიმში (1855 წელს მოკავშირეებმა სევასტოპოლი აიღეს). **წარმატება მოპოვებულ იქნა მხოლოდ სამხრეთ კავკასიაში.** 1853 წელს რუსეთის არმიამ ოსმალები დაამარცხა **ახალციხესთან**, 1854 წელს – მდინარე **ჩოლოქზე**. 1855 წელს ოსმალეთის ჯარებმა დაიკავეს **აფხაზეთი და სამეგრელო**. 1855 წლის ნოემბერში რუსეთის არმიამ **ყარსის** ციხე-სიმაგრე აიღო. წარმატებებმა კავკასიაში რუსეთს ვერ უშველა. დამარცხებული რუსეთის იმპერია სამარცხვინო ზავზე დათანხმდა.

საზავო ხელშეკრულება (ტრაქტატი) რუსეთს, საფრანგეთს, ინგლისს, ოსმალეთსა და სარდინიის სამეფოს შორის დაიდო **პარიზში** 186 წლის 18(30) მარტს.

პარიზის საზავო ხელშეკრულების (ტრაქტატის) მესამე მუხლის ძალით რუსეთს ოსმალეთისათვის უნდა დაებრუნებინა **ყარსი და ასევე ომის დროს**

დაკავებული ოსმალეთის სხვა ტერიტორიები. მოკავშირეები დამარცხებულ რუსეთს უბრუნებდნენ ომის დროს დაკავებულ ქალაქებსა და ნავსადგურებს: სევასტოპოლს, ბალაკლავას, კამიშს, ევპატორიას, ქერჩს, ენიკალეს, კინბურნს და სხვ (Юзефович 1952: 25).

დანართი

რუსეთ-საფრანგეთ-ინგლის-ოსმალეთ-სარდინიის 1856 წლის 18 (30) მარტის პარიზის საზავო ხელშეკრულების მესამე მუხლი

СТАТЬЯ III

Е. в. император всероссийский обязуется возвратить е. в. султану город Карс с цитаделью оною, а равно и прочие части оттоманских владений, занимаемые российскими войсками (Юзефович 2005: 125).

6. რუსეთ-ოსმალეთის 1878 წლის 19 თებერვლის (3 მარტის) პრელიმინარული საზავო ხელშეკრულება (სან-სტეფანოს ზავი)

1856 წლის 18(30) მარტის პარიზის ტრაქტატის პირობებს რუსეთის იმპერია ვერ ეგუებოდა. 1877 წელს რუსეთის საიმპერატორო ხელისუფლებამ ჩათვალა, რომ რევანშისათვის ხელსაყრელი დრო დადგა და ომი გამოუცხადა ოსმალეთს. საომარი მოქმედებები დაიწყო ორ ფრონტზე – ბალკანეთსა და კავკასიაში. ორივე ფრონტზე რუსეთმა დიდ წარმატებებს მიაღწია. 1877 წლის ნოემბერში რუსებმა ხანგრძლივი ბრძოლების შემდეგ პლევენა აიღეს, ბალკანეთის მთები გადალახეს და 1878 წლის 8 იანვარს ადრიანოპოლი დაიკავეს. კავკასიის ფრონტზე ოსმალეთის არმიამ ასევე ვერ გაუძლო რუსების შეტევას. 1878 წლის 18 ნოემბერს რუსებმა ყარსი აიღეს. აჭარაში შავი ზღვის სანაპიროს გასწვრივ დაწყებული შეტევა წარმატებით ვერ განვითარდა, რადგან რუსებმა ციხისძირი ვერ დაიკავეს. ომი ისე დასრულდა, რომ ბათუმში ისევ ოსმალთა გარნიზონი იდგა.

1878 წლის 19 თებერვალს (3 მარტს) სტამბოლთან ახლოს დაბა **სან-სტეფანოში** რუსეთსა და ოსმალეთს შორის დაიდო პრელიმინარული საზავო ხელშეკრულება (Адамов 1952: 159-175). სან-სტეფანოს საზავო ხელშეკრულებამ შეემა მოუტანა ბალკანეთის ხალხებს. ოსმალეთის წინააღმდეგ მებრძოლმა **ჩერნოგორიის** სამთავრომ დამოუკიდებლობა მიიღო. დამოუკიდებლობა მოიპოვა **სერბიის** სამთავრომაც. დამოუკიდებელი გახდა **რუმინეთი**. **ბულგარეთმა** მიიღო თვითმართველობა. მართალია, ბულგარეთს ოსმალეთისათვის ხარკი უნდა ეხადა, მაგრამ ბულგარეთის მთავრობა ქრისტიანული იქნებოდა (Адамов 1952: 160-164).

სან-სტეფანოს საზავო ხელშეკრულების **მეცხრამეტე მუხლი** ეხებოდა საქართველოს ისტორიულ ტერიტორიას. მეცხრამეტე მუხლის ძალით ოსმალეთს რუსეთისათვის ომის დროს დაკავებული ტერიტორიების უკან დაბრუნების სანაცვლოდ ფული უნდა გადაეხადა. ამ მიზნით განისაზღვრა თანხის რაოდენობაც. სულ ომის დროს მიყენებული ზარალის ანაზღაურებისა და ტერიტორიების უკან დაბრუნების საფასურად ოსმალეთს რუსეთისათვის უნდა გადაეღებოდა **ათას ოთხას ათი მილიონი მანეთი** (Адамов 1952: 169).

იმ ტერიტორიათა შორის, რომელიც რუსეთს დადგენილი საფასურის გადახდის შემდეგ ოსმალეთისთვის უნდა დაებრუნებინა იყო: **არდაგანი (არტაანი), ყარსი, ბათუმი, ბაიზეთი და ტერიტორია სოღანლუღამდე**. საზავო ხელშეკრულების იგივე მეცხრამეტე მუხლში დაწვრილებით იყო აღწერილი ზემოთ ხსენებული ტერიტორიის საზღვრები (Адамов 1952: 170). თუ ოსმალეთი რუსეთს დადგენილ თანხას არ გადაუხდიდა, საზღვარი რუსეთსა და ოსმალეთს შორის ასე განისაზღვრებოდა: **არდაგანი (არტაანი), ყარსი, ბათუმი და ბაიზეთი რჩებოდა რუსეთის შემადგენლობაში**. სასაზღვრო ხაზი იწყებოდა შავი ზღვის სანაპიროზე და გასდევდა მდინარეების **ხოფასა** და **ჭოროხის** წყალგამყოფს, შემდეგ მიუყვებოდა მთებს, ისე რომ სასაზღვრო ხაზი **ართვინის** სამხრეთით გადიოდა და ასე გრძელდებოდა მდინარე **ჭოროხამდე** (სოფლების **ალატის** და **ბეშაგეტის** მახლობლად). აქედან სასაზღვრო ხაზი მიუყვებოდა მდინარეების **თორთომისა** და **ჭოროხის** წყალგამყოფი მთების თხემს, გადიოდა **სივრი-დაღის** გადასასვლელზე, საიდანაც უხვევდა სამხრეთით და მიდიოდა **ზივინამდე**. ზივინის გზიდან სასაზღვრო ხაზი უხვევდა დასავლეთით, გადიოდა სოფელ **არდოსტსა** და **ხორასანზე**, საიდანაც დაეშვებოდა სამხრეთით **სოღანლუღის მთებამდე**, შემდეგ

გასდევდა ალი-დაღის მთებს და სამხრეთიდან შემოუვლიდა ბაიაზეთს. მეცხრამეტე მუხლი ცალკე არ აღგენდა არტაანის, ყარსის, ბათუმის, ბაიაზეთის და სოღანლუღამდე ტერიტორიის ფასს. ბალკანეთში და კავკასიაში ოსმალეთისათვის დასაბრუნებელი ტერიტორიების საერთო ფასი განისაზღვრა ათას ასი მილიონი მანეთით (Адамов 1952: 170).

სან-სტეფანოს საზავო ხელშეკრულების დადების დროისათვის ციხისპირსა და ბათუმში ისევ ოსმალეთის გარნიზონები იდგა.

დანართი

**რუსეთ-ოსმალეთის 1878 წლის 19 თებერვლის
(3 მარტის) სან-სტეფანოს საზავო ხელშეკრულების მეცხრამეტე მუხლი**

СТАТЬЯ XIX

Вознаграждение за войну, а равно убытки, причиненные России, которые е. в. император всероссийский требует и которые Блистательная Порта обязалась ему уплатить, заключается в:

- а) девятистах миллионах рублей военных издержек (содержание армии, возмещение припасов, военные заказы);
- б) четырехстах миллионах рублей убытков, причиненных южному побережью государства, отпускной торговле, промышленности и железным дорогам;
- в) ста миллионах рублей убытков, причиненных Кавказу вторжением;
- г) десяти миллионах рублей проторей и убытков русским подданным и учреждениям в Турции.

Итого тысяча четыреста десять миллионов рублей.

Принимая во внимание финансовые затруднения Турции и сообразуясь с желанием е.в. султана, император всероссийский соглашается заменить уплату большей части исчисленных в предыдущем параграфе сумм следующими территориальными уступками:

а) Тульчинский санджак, то есть уезды (казы): Килии, Сулины, Махмудие, Исачки, Тульчи, Мачина, Бабадага, Гирсова, Кюстендже и Меджидие, а равно острова Дельты и Зменный остров. Не жедая присоединять себе означенной территории и островов Дельты, Россия представляет себе променять их на отчужденную от нее трактатом 1856 года часть Бессарабии, граничащую с юга руслом Килийского рукава и устьем Старого-Стамбула. Вопрос о разделе вод и рыбных ловель имеет быть решен Русско-румынской комиссией в годовой срок со времени ратификации мирного трактата;

б) Ардаган, Карс, Батум, Баязид и территория до Саганлуга. - В общих чертах граница от берега Черного моря направится по хребту гор, служащих водоразделом притоков рек Хопы и Чароха, и по горной цепи к югу от города Артвина до реки Чароха, блик селений Алата и Бешагета; затем граница направится по вершинам гор Дервеник-Геки, Хорчезора и Беджигин-дага, по хребту, разделяющему притоки рек Тортум-чая и Чароха и по высотам близ Яйлы-Вихина до селения Вихин-Килисса на реке Тортум-чае. Отсюда пограничная черта направится по цепи Сиври-дага до перевала того же имени, проходя на юг от селения Нориман; далее граница повернет к юговостоку, последует к Зивину, откуда, — пройдя на запад от дороги из Зивина и в селения Ардост и Хорассан, направится на юк к Саганлугской цепи, до селения Гиличман, затем по хребту Шариан-дага достигнет, в десяти верстах к югу от хамура, Мурадчайского ущелья; потом граница пройдет вдоль по хребту Алла-дага, по вершинам Хори и Тандурека и, пройдя на юг от Баязидской долины, примкнет к прежней турецко-персидской границе к югу от Казли-Геля.

Окончательные границы присоединенной к России территории, обозначенные на прилагаемой при сем карте, будут установлены комиссией из русских и оттоманских делегатов, комиссия эта примет во внимание при своих работах как топографию местности, так и необходимые условия для хорошей администрации и для обеспечения спокойствия страны.

с) Территории, означенные в параграфах а и б, уступаются России взамен суммы тысячи ста миллионов рублей. Что касается остальной части вознаграждения, за исключением десяти миллионов рублей, то способ их уплаты и предназначаемые к

тому обеспечения будут определены последующим соглашением между российским императорским правительством и правительством е.в. султана.

д) Десять миллионов рублей, выговоренных в виде вознаграждения подданным и учреждениями русским в Турции, имеют быть уплачиваемы по мере того, как требования заинтересованных лиц и учреждений будут рассмотрены российским посольством в Константинополе и переданы Блистательной Порте (Адамов 1952: 169-171).

7. რუსეთ-ინგლისის 1878 წლის 18 (30) მაისის შეთანხმება სან-სტეფანოს საზავო ხელშეკრულების შეცვლის თაობაზე (ლონდონის შეთანხმება)

რუსეთ-ოსმალეთის 1878 წლის 19 თებერვლის (3 მარტის) სან-სტეფანოს საზავო ხელშეკრულება დიდი დარტყმა იყო დასავლეთ ევროპის ქვეყნებისათვის და პირველ რიგში ინგლისისათვის. ხელშეკრულების ძალით განმტკიცდა რუსეთის პოზიციები ბალკანეთში. წარმატებები მოიპოვა რუსეთმა კავკასიაშიც.

ინგლისის ინიციატივით ევროპის ქვეყნებმა მიაღწიეს იმას, რომ რუსეთი დაითანხმეს **საერთოევროპული კონგრესის** მოწვევაზე, რომელსაც უნდა გადაესინჯა რუსეთ-ოსმალეთის 1878 წლის 19 თებერვლის (3 მარტის) სან-სტეფანოს საზავო ხელშეკრულების პირობები. სანამ კონგრესი შეიკრიბებოდა, ინგლისის ინიციატივით შედგა რუსეთ-ინგლისის საიდუმლო შეთანხმება სან-სტეფანოს საზავო ხელშეკრულების შეცვლის თაობაზე.

რუსეთ-ინგლისის შეთანხმება სან-სტეფანოს საზავო ხელშეკრულების შეცვლის თაობაზე ხელმოწერილ იქნა **ლონდონში** 1878 წლის 18 (30) მაისს. (Адамов 1952: 176-179). შეთანხმება საიდუმლოდ უნდა ყოფილიყო დაცული.

ლონდონის შეთანხმების მეთერთმეტე მუხლში აღნიშნული იყო: ინგლისი თანახმა იყო რუსეთს მიეღო ბათუმი და შეენარჩუნებინა სომხეთის დაპყრობილი ტერიტორია, მაგრამ შემდგომში ოსმალეთის ტერიტორიის ხარჯზე აზიაში რუსეთის ტერიტორია არ უნდა გაზრდილიყო (Адамов 1952: 179).

სან-სტეფანოს საზავო ხელშეკრულების შეცვლის თაობაზე რუსეთ-
 ოსმალეთის 1878 წლის 18 (30) მაისის ღონღონის შეთანხმების მეტერთმეტე მუხლი

11. Правительство ее британского величества считало бы своим долгом выразить свое глубокое сожаление в случае, если бы Россия решительно настаивала на возвращение Бессарабии. Поскольку, однако, достаточно выяснено, что прочие державы, подписавшие Парижский трактат, не намерены защищать при помощи оружия границы Румынии, установленные этим трактатом, Англия не считает себя столь непосредственно заинтересованной в этом вопросе, чтобы иметь право взять на себя одну ответственность воспротивиться предположенному изменению, и поэтому она обязуется не оспаривать окончательного решения России относительно возвращения Бессарабии.

Соглашаясь не возражать против желания русского императора приобрести порт Батум и сохранить свои завоевания в Армении, правительство ее величества не скрывает от себя, что, вероятно, в результате этого расширения границ России, в будущем может возникнуть серьезная опасность, угрожающая спокойствию турецкого населения в Азии. Но правительство ее величества придерживается того мнения, что обязанность предохранять Оттоманскую империю от этой опасности, которая отныне ляжет специально на Англию, может впредь осуществляться без того, чтобы Европа испытала бедствия новой войны. Вместе с тем правительство королевы примет к сведению заверение его императорского величества о том, что в будущем граница России не будет расширена со стороны Азиатской Турции. В связи с этим правительство ее величества, полагая, что изменений Сан-Стефанского договора, согласованных в этом меморандуме, достаточно для того, чтобы ослабить возражения, которые оно имеет против договора в его настоящем виде, обязуется не возражать против статей прелиминарного Сан-Стефанского договора, не измененных десятью* вышеизложенными пунктами, если, после того как эти статьи будут должным образом обсуждены на конгрессе, Россия будет на них настаивать.

Возможно, что в ходе дискуссии на конгрессе, оба правительства предпочтут, по взаимному соглашению, внести новые изменения, которые невозможно предвидеть;

но если между русскими и английскими уполномоченными не будет установлено соглашение по поводу новых изменений, то настоящий меморандум предназначен служить взаимным обязательством для уполномоченных России и Великобритании на конгрессе (Адамов 1952: 178-179).

8. რუსეთ-გერმანია-ავსტრია-უნგრეთ-საფრანგეთ-ინგლის-იტალია-ოსმალეთის
1878 წლის 1 (13) ივლისის ხელშეკრულება (ბერლინის ტრაქტატი)

რუსეთ-ოსმალეთის 1878 წლის 19 თებერვლის

(3 მარტის) სან-სტეფანოს საზავო ხელშეკრულება მიღწეული შეთანხმების შესაბამისად გადაისინჯა 1878 წლის ივნის-ივლისში გერმანიის დედაქალაქ ბერლინში გამართულ კონგრესზე. კონგრესის მუშაობაში მონაწილეობდა შვიდი ქვეყანა: რუსეთი, ინგლისი, საფრანგეთი, ავსტრია-უნგრეთი, გერმანია, იტალია და ოსმალეთი. ბერლინის კონგრესის დასკვნით, აქტს – ტრაქტატს (ხელშეკრულებას) ხელი მოეწერა 1878 წლის 13 ივლისს (Адамов 1952: 181-206).

ბერლინის ტრაქტატმა მნიშვნელოვნად შეზღუდა ოსმალეთის წინააღმდეგ მებრძოლი ბალკანეთის ხალხების მონაპოვარი – გადასინჯა სან-სტეფანოს საზავო ხელშეკრულების პირობები.

ბერლინის ტრაქტატი შეეხო საქართველოს ისტორიულ ტერიტორიას. ტრაქტატის ორმოცდამეთვრამეტე მუხლში აღნიშნული იყო, რომ ოსმალეთი რუსეთს უთმობდა არდაგანს (არტაანს), ყარსს და ბათუმს (პორტიურთ), ასევე მთელ ტერიტორიას, რომელიც მდებარეობდა რუსეთ-ოსმალეთის ძველ საზღვარსა და სან-სტეფანოს საზავო ხელშეკრულებით დადგენილ ახალ საზღვარს შორის.

ორმოცდამეთვრამეტე მუხლში დაწვრილებით იყო აღწერილი რუსეთ-ოსმალეთის ახალი საზღვარი. იგი ძირითადად ემთხვეოდა სან-სტეფანოს საზავო ხელშეკრულებით დადგენილ სასაზღვრო ხაზს (Адамов 1952: 204).

ორმოცდამეცხრამეტე მუხლში აღნიშნული იყო, რომ რუსეთი ბათუმის პორტო-ფრანკოდ (თავისუფალ ნავსადგურად) გამოცხადებას დასთანხმდა უმეტესად კომერციული მოსაზრებებით (Адамов 1952: 204).

მესამოცე მუხლის ძალით სან-სტეფანოს საზავო ხელშეკრულებით ოსმალეთის მიერ რუსეთისათვის გადაცემული ალაშქერტის ველი და ბაიაზეთი უბრუნდებოდა ოსმალეთს (Адамов 1952: 205).

დანართი

რუსეთ-გერმანია-ავსტრია-უნგრეთ-საფრანგეთ-ინგლის-იტალია-
ოსმალეთის 1878 წლის 1 (13) ივლისის ბერლინის ხელშეკრულების (ბერლინის
ტრაქტატის) ორმოცდამეთვრამეტე, ორმოცდამეცხრამეტე და მესამოცე მუხლები.

СТАТЬЯ LVIII

Блистательная Порты уступает Российской империи в Азии территории Ардагана, Карса и Батума, с портом последнего, равно как и все территории, заключающиеся между прежней русско-турецкой границей и следующей пограничной чертой.

Новая граница, направляясь от Черного моря, согласно пограничной линии, определенной Сан-Стефанским договором, до пункта к северо-западу от Хорды и к югу от Артвина, продолжается по прямой линии до реки Чоруха, пересекает эту реку и проходит к востоку от Ашмишена, следуя по прямой линии к югу, на соединение с русской границей, обозначенной в Сан-Стефанском договоре, в пункте на юг от Наримана, оставляя город Ольти за Россией. От пункта, обозначенного близ Наримана, граница поворачивает к востоку, проходит чрез Тебренок, остающийся за Россией, и доходит до Пенек-Чая.

Она идет по этой реке до Бардуза, потом направляется к югу, оставляя Бардуз и Ионикию за Россией. От пункта, находящегося на запад от деревни Карауган, граница направляется на Меджингерг, продолжается по прямому направлению до вершины горы Кассадаг и следует по водоразделу притоков Аракса на севере и Мурад-Су на юге до прежней русской границы.

СТАТЬЯ LIX

Е. в. Император всероссийский объявляет, что его намерение - сделать Батум порто-франко по преимуществу коммерческим.

СТАТЬЯ LX

Долина Алашкерта и город Баязет, уступленные России статьей XIX Сан-Стефанского договора, возвращаются Турции.

Блистательная Порта уступает Персии город и территорию Котур соответственно тому, как она была определена смешанной англо-русской комиссией по турецко-персидскому разграничению (Адамов 1952 : 204-205).

9. რუსეთ-ოსმალეთის 1879 წლის 27 იანვრის (8 თებერვლის) საზავო ხელშეკრულება (სტამბოლის ხელშეკრულება)

1878 წლის 19 თებერვლის (3 მარტის) რუსეთ-ოსმალეთის სან-სტეფანოს საზავო ხელშეკრულებამ და 1878 წლის 13 ივლისის ბერლინის ტრაქტატმა საბოლოოდ მაინც ვერ მოაგვარა რუსეთ-ოსმალეთის ურთიერთობა.

1879 წლის 27 იანვარს (8 თებერვალს) **სტამბოლში** ხელმოწერილ იქნა რუსეთ-ოსმალეთის საზავო ხელშეკრულება (Адамов 1952: 207-210.)

სტამბოლის საზავო ხელშეკრულების **მეორე მუხლში** აღნიშნული იყო, რომ ბერლინის ტრაქტატმა, რომელსაც შვიდმა სახელმწიფომ მოაწერა ხელი, გააუქმა ან შეცვალა სან-სტეფანოს საზავო ხელშეკრულების მუხლები. **მესამე მუხლი** კი გვაუწყებდა, რომ სან-სტეფანოს საზავო ხელშეკრულების იმ მუხლების შინაარსი, რომელიც არც გაუუქმებია და არც შეუცვლია ბერლინის ტრაქტატს, საბოლოოდ განისაზღვრებოდა რუსეთ-ოსმალეთის სტამბოლის საზავო ხელშეკრულებით. **მეხუთე მუხლის** ძალით იმ თანხის რაოდენობა, რომელიც ოსმალეთს უნდა გადაეხადა რუსეთისათვის არ უნდა ყოფილიყო ოცდაექვსი მილიონ შვიდას ორმოცდაათი ათას ფრანკზე მეტი (Адамов 1952: 208-209.)

რუსეთ-ოსმალეთის 1879 წლის 27 იანვრის (8 თებერვლის) სტამბოლის საზავო ხელშეკრულებამ ძალაში დატოვა ბერლინის ტრაქტატით განსაზღვრული რუსეთ-ოსმალეთის საზღვარი აზიაში.

რუსეთ-ოსმალეთის დაპირისპირება სამხრეთ კავკასიაში 1879 წლის შემდეგ კარგა ხანს შეწყდა, თუმცა მხარეებს თავიანთ ინტერესებზე უარი არ უთქვამთ და ელოდნენ იმ დროს, როცა თავიანთი გეგმების რეალიზებას შეძლებდნენ. ახალი დაპირისპირება რუსეთსა და ოსმალეთს შორის უკვე პირველი მსოფლიო ომის (1914-1918 წწ.) ხანას განეკუთვნება.

დამოწმებული ლიტერატურა:

Адамова 1952: Сборник договоров России с другими государствами. 1856-1917.
Под редакцией **Е. А. Адамова.** Москва, 1952.

Юзефович 2005: Т. Юзефович. Договоры России с Востоком. Москва, 2005.